695
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1981 წ.

ISSN 0321-1509



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ჯილდოს გადასცემს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს მიულოცა საპატიო ჯილდო: „ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მან თავი გამოიჩინა, როგორც ქართველი კომუნისტების ნაცადმა ხელმძღვანელმა. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, ვაჟკაცობა (?) — ვაბედულება წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტისადმი მიდგომაში, ინიციატივა და ახლის გრძნობა, პრინციპულობა და პატიოსნება — აი ის თვისებები, რომლებმაც მას ავტორიტეტი შეუქმნა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში საქმე კარგად მიდის და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვის პასუხად ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „ჯილდო, რომელიც თქვენ დღეს გადმომეცით, მთელი რესპუბლიკის ჯილდოა, რადგან იგი აგვირგვინებს ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ყველა ჩვენი მშრომელის თავდადებულ გარჯას...

თქვენთვის უდიდესი ბედნიერება და მთელი ცხოვრების მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. ნება მიბოძეთ, გისურვოთ ყოველივე, რასაც თქვენ ასე გულუხვად უზიარებთ ადამიანებს: ბედნიერება და სიხარული — ყველა საბჭოთა ადამიანის საბედნიეროდ და სასიხარულოდ!“

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. 796



ს. ყურაშვილის ფოტოკომპოზიცია.

# ხუთწლედის გვირგვინი

დიახ, გვირგვინად მოგვევლინა ის სიხარული და სიამაყე, რაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა განიცადეს, სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით რესპუბლიკის ზედიზედ მერვედ დაჯილდოების ამბავი რომ შეიტყეს.

გვირგვინად-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ მეათე ხუთწლედის, როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ხატოვნად აღინიშნა, „საბჭოთა საქართველოს წითელდროშოვანი ხუთწლედის“ ყოველ წელს იღებდა ჩვენი რესპუბლიკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამ ფრიად საპატიო ჯილდოს.

თხუთმეტ მოკავშირე რესპუბლიკას შორის ოთხი რესპუბლიკა დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგების მიღწევებისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით საქართველოს ბადალი არა ჰყავდა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

განსაკუთრებით საამაყო და სასიხარულო კი ამ გამარჯვებებში ის გახლავთ, რომ ეს გამარჯვება თითქმის კანონზომიერებად იქცა, რადგან იგი გარანტირებულია რესპუბლიკის მშრომელთა არნახული, მასობრივი შრომითი გმირობით, სულ უფრო მზარდი შემოქმედებითი აქტივობით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო არნახული შემჭიდროებით. არ იქნება დიდი გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ საყრილობო შრომითს ვახტზე მთელი საქართველო იდგა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ორი მილიონი მშრომელი კაცი მონაწილეობდა, მონაწილეობდა სულით, გულით, გაათკეცებული ენერგიით, დაინტერესებითა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით.

**სწორედ ეს წითელდროშოვანი ხუთწლედი განსაკუთრებულ და საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენი რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის სამოცწლიან ისტორიაში, რადგან სწორედ ამ წლებში მივაღწიეთ მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მწვერვალებს.**

მაინც რა არის ამ უჩვეულო წარმატების სათავე? ეს ის მართალი და გაბედული კურსია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, შეუდგა რა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას, 1972 წლიდან მტკიცედ და განუხრელად დაადგა.

ეს დიდი გარდატეხა იყო თვით ადამიანების სულიერ ცხოვრებაში. ადამიანებს დაუბრუნდათ რწმენა, ხოლო რწმენით შთაგონებული ადამიანი საზოგადო საქმისადმი თავისი კომუნისტური დამოკიდებულებით სასწაულებს ახდენს.

„სასწაულებმა“ ხომ მართლაც არ დაიგვიანა და მისი სიმბოლური გამოხატულება სწორედ ის რვა წითელი დროშაა, ასეთი შუქით რომ გაანათა მშრომელთა გულები, მოყვარეს რომ გული გაუცისკროვნა, ხოლო ჩვენ მტერს თვალი დაუბრმავა.

## გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს



ქ. თბილისის სახ. საქ
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გზები

ცარო მთათუშეთის სოფლიდან ცხენს ჩამოჰყავდა, გრიგოლ პაპას იგი საიმედოდ დაესვა და თვალს არ აშორებდა. მთის ვერაგ მდინარეს აღარ ენდობოდა მოხუცი. მწარედ ახსოვდა, როგორ მოსტაცა გაზაფხულის პირას ადიდებულმა წყალმა რძალი და შვილიშვილი. ცარო დაბადებული არ იყო მაშინ.

გოგონა ალვანში სწავლობდა. აქ დაიმკვიდრა მამამისმა გაბრიელ კახოიძემ ახალი სამოსახლო და ერთხანს ზურგი აქცია მთას. პატარა ცარო მაინც ყოველ ზაფხულს ომალოს ახლოს, ჩიგლაურთაში ატარებდა, სადაც ბებია ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობდა. მთაში გათეთრებულმა მოხუცმა არ იცოდა, ჩოგლაურთას გარდა კიდევ სად ცხოვრობდა ხალხი. ისე გარდაიცვალა, რომ ბარად არ ჩამოსულა.. მისი მეუღლე კი ხშირად მიმოდიოდა ალვანსა და ომალოს შორის ცხენით. ალვანელებმა საცხენო გზას გრიგოლის გზა შეარქვეს, რადგან ადგილ-სავალი მისი შერჩეული და გამოცდილი იყო. ამ გზას მიჰყვება დღეს ის საავტომობილო გზა, რომლის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო გრიგოლის შვილმა და ცაროს მამამ — გაბრიელმა.

უგზოდ ვერ იცხოვრებს კაცი. გზას მიჰყავს იგი მიზნების აღსრულებამდე. და პატარა ცარო, ალპურ ყვავილებში გაზრდილი და მათი ფერებით მეოცნებე, თბილისისაკენ წამოვიდა.

ის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარის" მკერავია. აქ ქალის საცვლები მზადდება. ცარო კერვის ყველა ოპერაციას ჩინებულად ასრულებს. 15 წელი, რომელიც აქ გაატარა, თამამად აბედვინებს სხვადასხვა მანქანასთან შრომას. ცაროს ხელს შეუძლია ლამაზად გამოიყვანოს ქალის შიდა ჩასაცმელი და თავისი ოსტატობა სხვებსაც გადასცეს.

ფაბრიკის პარტბიუროს წევრი, №1 შემკერავი საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ცარო კახოიძე სკკპ 26-ე ყრილობის დელეგატი იყო და ახალგაზრდა, ენერგიული, მუშაობის სურვილით სავსე ქალი დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ყრილობიდან და გულმხურვალედ შეუდგა თავის საქმიანობას, რომ სახელოვნად განახორციელოს პარტიის ყრილობის ბრძნული დირექტივები.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# შრომის დიდების დღეები

ის მოსკოვში გააგზავნეს, როგორც კარგი დამრიგებელი. თურმე ახალგაზრდა მუშაც შეიძლება იყოს დამრიგებელი, თუ 18 წელი ერთ საქმეს ემსახურება და შრომის ფრიადოსანია. მეათე ხუთწლედში ლალი სურგულაძემ ხუთი მოწაფე მოამზადა. ამიტომაც აქეს და საჩუქრებიც გადასცეს.

პირველი მაისი მის სოფელს მანამდე დაარქვეს, სანამ ის დაიბადებოდა. მერე კი, როცა პირველი მაისის დღესასწაულებს იხდიდა, ლალის უხაროდა, რომ მშრომელთა ამ ლამაზი დღესასწაულის სახელი ერქვა თავის აღმზრდელ ალაგს.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტიულ ქარხანაში მოვიდა მუშად. წამლების დაფასოება შეისწავლა და მას მერე სულ ერთიდაიგივე სამუშაოს ასრულებს. ამ ერთფეროვნებაში ყველა დღე მაინც არა ჰგავს ერთმანეთს. თანდათან იხვეწება ხელი, იცვლება მოძრაობის სიჩქარე, იცვლება ფიქრები ადამიანებზე, რომლებსაც ეს წამლები სჭირდება, ბავშვებზე, რომელთაც არ უნდა აწუხებდეს ავადმყოფობა.

კეთილი გული და ხალხის სიყვარული ისეთი თვისებებია, ხალხში სამაგიერო სიყვარულს და პატივისცემას რომ ჰპოვებს. საამქროში კი არა, მთელ ქარხანაში უყვართ გულკეთილი, მართალი, პატიოსანი მუშა ქალი, მთელი ქარხანა ამაყობს, რომ ეს ალალი მშრომელი სკკპ 26-ე ყრილობის დელეგატი იყო. ლალი სურგულაძე შთაბეჭდილებებით სავსე ჩამოვიდა მოსკოვიდან და იქ ნათქვამსა და გაგონილზე ყვება.



გიორგი გიგაური

## ოცხეს ხეობა

ბილიკი ბილიკს ასდევნებია
ტყიანებიდან სათიბებამდე,
კორდებზე კორდი,
მთებზე მთებია,
როგორ იქნება რომ არ მეძახდნენ!

მათი მხარ-ბეჭის მატკბობს ტრფიალი
და მათი ქუჩი ჩოხად მაცვია,
ოცხეს ტალღების ორომტრიალი
არის არაგვის იმიტაცია.

აღიღინება მესხი ჭაბუკის
გმირი ხევსურის ბუბუნს მაგონებს;
იმ დელგმიანი დღეთა ქარბუქი
სულის სიმებზე გადავაგორე.

საფლავებიდან ამტყდარმა ხმებმა
ზარზმის მდუმარე ლოდები დახრა.
მუხა ყოველთვის ქუხილით კვდება,
ტირიფის სიკვდილს სინაზე ახლავს!

ამ საოცრებას ვგუობ სტუმარი,
ვარ მეციხოვნეც,
მეისტორიეც,
მიწის ყივილი დაუდუმარი
კლდეს შეანარცხებს გველს და მორიელს.
და მუხანათიც ვერ გვიორგულებს
მუხლმოკეცილი ჩვენი ძალ-ღონით,
ველარ დალეწავს ციხის ქონგურებს
მათნი ხერხნი და
მათნი ალღონი.

ჭალაზე ნისლებს მიარღვევს ოცხე,
როგორც მტრის გვამი მიჰქონდა ადრე,
დე; ზეცას კვლავაც მათი მზე მოწყდეს
და მდინარეთა ზვირთებში გადნეს...

ვუცქერ ხეობას მაღალმთებიანს,
ნათელ ოცნებას ვეთამაშები,
ბილიკს ნიავი ასდევნებია,
ნიავს — სიმღერა მესხი ვაჟების.

# სოფელი დვირი და რამდენიმე კითხვა მის მესვეურებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს[illegible]



[illegible]





[illegible]

ტორია. ის კარგად იცნობს მოზარდების ბუნებას, ხასიათს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოსწავლემ სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა, ფართოდ გაეხსნას გზა მის ნიჭს, გაიზარდოს განათლებულ და კულტურულ მოქალაქედ.

— რა გააკეთეთ სკოლისათვის წინა ხუთწლედში, რას აპირებთ მომავალში? — ვეკითხებით რუსუდანს და ისიც სიამაყით ყვება, რომ ააშენეს კაბინეტ-ლაბორატორიებით აღჭურვილი ახალი სკოლა, აკეთებენ ფეხბურთის მოედანს.

რუსუდანს ახარებს სოფლის ინტელიგენციის როლის ესოდენ დიდი დაფასება. ყრილობაზე ითქვა, რომ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ სოფლის ინტელიგენციისათვის. „ეს არის მნიშვნელოვანი რაზმი ადამიანებისა, რომლებიც სოფლის მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად წყვეტენ არა მარტო პარტიის აგრარული პოლიტიკის, არამედ ადამიანის აღზრდის ბედსაც, ადამიანისა, რომელიც უაღრესად აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საწარმოო ურთიერთობის სრულყოფაში".

— მომავალში სკოლამ უნდა იბრძოლოს აკადემიური წარმატების უფრო მაღალი დონისათვის — აღნიშნავს რუსუდანი, არ უნდა გვყავდეს არც ერთი ოროსანი, მოსწავლეები თავისუფლად უნდა აზროვნებდნენ, ჰქონდეთ დამოუკიდებელი შრომის ჩვევები, იცნობდნენ მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, კავშირი ჰქონდეთ ცხოვრებასთან, უყვარდეთ შრომა.

არ ემდურის რუსუდანი თავის აღსაზრდელებს, რომლებიც თავდადებით შრომობენ მეურნეობის ხეხილის ბაღებსა და ბოსტანში, კრეფენ ხილს, იღებენ კარტოფილს, ბოსტნეულს და თავიანთი შრომითი დანაზოგით ალამაზებენ სკოლის ეზო-მიდამოს, იძენენ აუცილებელ ინვენტარს.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა კლებულობს. ეს იმიტომ, რომ სოფელში იკლო შობადობამ და შეინიშნება სოფლიდან წასვლის ტენდენცია.

როგორც სოფლის ინტელიგენტს, რუსუდანს აუცილებლად მიაჩნია სოფელს ჰქონდეს კეთილმოწყობილი კლუბი და ბიბლიოთეკა. ღვირი ვერცერთით დაიტრაბახებს. მეთერთმეტე ხუთწლედში ეს პრობლემები გადაიჭრება, საამისოდ უკვე გამოძებნილია გზები და საშუალებანი.

რუსუდან თედიაშვილი სოფლის საბჭოს დეპუტატია და ხელმძღვანელობს სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივმოქმედ კომისიას. — როგორ ებრძვით მუქთახორობას, უსაქმურობას. წესრიგის დარღვევებს, ლოთობას, ამორალურ საქციელს? — ვეკითხებით მას და რუსუდანს პასუხი მზადა აქვს:

— ასეთი შემთხვევები სოფლად თითქმის არ არის.

ლია კაკაბაძე



# ციხელაანთ კარის საუნჯე

მძიმე იყო დმანისელი გლეხკაცის ცხოვრება ძველ დროს, ისედაც მწირ მიწებზე აქაურებს, ჯერ თურქი მოთარეშენი ავიწროვებდნენ და, შემდეგ მენშევიკური მთავრობის მოხელენი, მაგრამ მომავლის იმედითა და მამულის სიყვარულით ყველა სიძნელეს სძლევდა — ქორწილსაც იხდიდა და ხოჭიჯსაც არწევდა.

დავით ციხელაშვილმაც გააჩაღა ქორწილი. თავის მამაპაპეულ კერაზე ნინო პატარძალმა ახალი სითბო და სიხარული შემოიტანა, მალე პირმშოს შალვას აკვანიც დაარწია.

ჩვილბავშვიანი ნინო ქმარს გვერდით ამოუდგა და მკლავმოუღლელი შრომით იმ მძიმე წლებშიც ხვავითა და ბარაქით აავსეს ახალი ოჯახი.

როცა საქართველოშიც შემოანათა დიდი ოქტომბრის დროშის ნათელმა, მშრომელთა ცხოვრება ნორმალური კალაპოტით წარიმართა და მუშაობა სახალისო გახდა, დმანისელმა გლეხკაცობამ სამიწათმოქმედო ამხანაგობა შექმნა. იმ გაზაფხულს საამხანაგო მინდორში პირველ გუთნისდედად დავით ციხელაშვილი გავიდა. კოლექტიურმა შრომამ ღონე შემატა სოფელს, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის კერაც მომძლავრდა და ციხელაანთ სამოსახლოზე ქვითკირის სამოთახიანი სახლი წამოიჭიმა.

ციხელაანთ კერის საუნჯე ოდითგანვე შვილთა სიმრავლე იყო. ნინომაც არ უღალატა წინაპართა ტრადიციას, შალვას შემდეგ ათჯერ მიუჯდა აკვანს და ჩვილებს ათჯერ უმღერა იავნანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვას შემდეგ ნინომ მარიამის აკვანი დაარწია, მერე ეთერს უმღერა იავნანა. ეთერს გიორგი მოჰყვა, შემდეგ იოსებმა, რევაზმა, ვანომ, თამარმა, ნოდარმა და ბადრიმ გაახარეს დედის გული. ნაბოლარას კი სულმნათი შოთას სახელი დაანათლეს.

ციხელაშვილების ოჯახში ყოველ დილით ივსებოდა წიგნებით თერთმეტი ჩანთა და თერთმეტი ციხელაშვილი აღებდა სკოლის კარს. ზაფხულობით კი დედმამასთან ერთად საკოლმეურნეო მინდვრებში ტრიალებდნენ და საერთო-სახალხო დოვლათის შექმნის საქმეშიც თავიანთი ნაოფლარიც შეჰქონდათ. რაც მთავარია, აქ ისწავლეს მათ მშობლიური მიწისა და ქვეყნის სიყვარული, შრომისა და სწავლის ყადრი. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ყველა მათგანი საზოგადოებრივ შრომაში ჩაება, უმაღლესი განათლება მათ წარმოების მოუწყვეტლივ მიიღეს.

რა სპეციალობის ადამიანს აღარ ნახავთ გმირი დედის შვილთა შორის — აგრონომი გინდათ თუ ინჟინერი, ეკონომისტი თუ მასწავლებელი, იურისტი თუ ექიმი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ახალ სპეციალობებს ეუფლებიან უმაღლეს სასწავლებლებში ახლა ნინოს შვილიშვილები, რომელთაგან ბევრმა უკვე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა. ნათელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკია. სამშობლოს ორ ვაჟიშვილსაც უზრდის, ლამარა სატყეო მეურნეობის ენტომოლოგია, ქეთევანი — საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი...

ეს მამა-პაპათა კერაზე გვარის გამგრძელებელი ოცდამეექვსე შვილიშვილია.

ნინოს ნამდვილად ხომ დამსახურებული პენსია აქვს დანიშნული, შვილებიც ედავებიან, დაისვენეო, მაგრამ, მართლაც რომ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. მინდორში გაზაფხულის სურნელი რომ დატრიალდება და მიწას ოხშივარი აედინება, აბა შინ რა გააჩერებს ამ გამრჯე ქალს!

პატიოსანი შრომა და ალალი ლუკმა, ცხოვრების დიდ გზაზე გულის სითბოსთან ერთად ნინომ თან გაატანა მუდმივ მეგზურად შვილებსა და შვილიშვილებს, რომელთა შრომითი ბიოგრაფიები მხოლოდ მადლიერების აღმნიშვნელი ჯილდოებით არის აღსავსე.

საქართველოს მშრომელთა ოჯახებში მალე შემოაღებს კარს სამოცი წლით მხრებდატვირთული საბჭოთა საქართველოს დიდი ეროვნული ზეიმი. სტუმარ-მასპინძელი ხმატკბილად დააგუგუნებენ მრავალჟამიერს, ნინო ციხელაშვილის ოჯახში კი ორმოცდაათი შთამომავალი შეახლის მოწმენდილ ცას ბედნიერების გრძნობით აღსავსე სიმღერას, რომელიც მიწაზე გმირი დედის რძის მადლად დაიღვრება.

გიორგი გოჩიტაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ამ სამიოდე წლის წინათ, ზეპირად, ავტორის ჟივ-ჟივა თხრობით, რომელიც ორ საათამდე გაგრძელდა, გავეცანი რომანს — „ზარინას ბედს“. ის მძაფრი შთაბეჭდილება, რომელიც ავტორის დაწვრილებითი მონაყოლიდან შემექმნა, კიდევ უფრო გამიცხოველდა, როცა ოთხასგვერდიანი რომანი ბწკარედად წავიკითხე მოქალაქეობრივი სისპეტაკით პირსავსე მათსავე ოჯახში.

ერთი მხრივ, დედინაცვლის მიერ შექმნილი დუხჭირი კლიმატი და მეორე მხრივ, კეთილი, სითბოთი და გულისხმიერებით აღსავსე ახალგაზრდა სოფლის მასწავლებლის ბრძოლა ზარინას ბედისათვის... ეს ბრძოლა რომანის დასაწყისში გარდამავალი, ინტერესშეუნელებელი ფორმით მიმდინარეობს. რთული და მოულოდნელობებით აღსავსე სიუჟეტი შეუნელებლად მიეზიდება მკითხველის გულისყურს ოთხასგვერდიან ხვიარებში და ახალგაზრდა, თითქოსდა უიღბლო გამიჯნურებულთა საბოლოო, დამაჯერებელი, მოულოდნელი გამარჯვებებით მთავრდება.

მერაბ ელიოზიშვილი

ფარიზათ გაბარაევა

# ზარინას ბედი

რომანის ერთი თავი

დღეები გარბოდნენ. სწავლის დროც მოვიდა, მაგრამ ზარინას ფერმისთვის თავი არ დაუნებებია. დილაუთენია გარბოდა ფერმაში, ხბორებს სადგომს დაუსუფთავებდა, საკვებს დაუყრიდა და, თუ დრო მორჩებოდა, ბაგაზე ჩამომჯდარი გაკვეთილებს ამზადებდა.

სანამ სკოლაში გაკვეთილები დაუმთავრდებოდა, პატარა ფუჩინები ფერმის ეზოში მზეს ეფიცხებოდნენ და ალერსიან მწყემსს ელოდნენ. სამხრობისას მოვიდოდა ზარინა და გაირეკავდა მინდორში. ხბორები წყნარად ძოვდნენ ბალახს, თითქოს არ სურდათ ზარინასათვის მყუდროება დაერღვიათ. მამის სიკვდილის შემდეგ დედინაცვლის ხელში როგორ გაუადვილდებოდა ყოფნა, ამას თქმაც არ უნდა, მაგრამ სწავლაზე გული მაინც არ ასცრუებია. ყოველ კრებაზე, კომკავშირისა იქნებოდა ეს თუ მშობელთა, ზარინას მაგალითი მოჰყავდათ.

მასწავლებლებსაც უკვირდათ, მწყემსადაც დადის და ყველაზე უკეთესადაც სწავლობსო. და მართლაც, აი ზარინას ცხოვრების ერთი დღე:

ოდნავ ინათა. სოფელს სძინავს. მარტო წყალგაღმა თეთრი ქვით ნაშენი ბოსლიდან გამოდის სინათლე. მიიჩქარის იქით ზარინა, საიდანაც ის შუქი გამოკრთის და ხმაურიც გამოდის. თავისივე მოქსოვილი მოლურჯო შალი მოუხვევია, ხელში ჩანთა უჭირავს, წიგნებითა და პურის ნატეხით ამოვსებული. გზას ამოკლებს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მხატვარი ნანა მესხიძე



მორჩა ფერმაში საქმეს, იქიდან სკოლაში გარბის, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კვლავ ფერმისკენ მიეშურება და ხბორებს საძოვარზე მიერეკება.

— მალე, ზარინა, ერთად ვისამხროთ, — ესმის მწველავების კეთილი ხმა. ეფერებიან ობოლს, უნდათ მძიმე დარდი შეუმსუბუქონ, ალერსიანი მოპყრობით შეაყვარეს გოგოს ფერმა.

ტყისპირისაკენ გაირეკავს ზარინა უტყვ მეგობრებს. ცოტა მოშორებით კი ტყეში ორკაპ ხეზე საყვარელ ცხენს — ძეგუს გამოაბამს. ამას წინათ ტყის მჭრელებისაგან მორის ორი გადანაჭერი ითხოვა — ერთი დაბალი — სკამად, უფრო მაღალი — მაგიდად. დაჯდება დაბალზე, მაღალ გადანაჭერზე წიგნებს და რვეულებს დაიწყობს და წერს.

მოსაღამოვებულზე გამძღარი ხბორები ვიწრო გზაზე გამწკრივდებიან, უკან მწყემსი მოსდევთ. მარჯვენა ხელში ჩანთა უჭირავს, მარცხენაში ალვირი და მოჰყავს ძეგუ.

...მამის სიკვდილის შემდეგ ასე ერთფეროვნად მიდიოდა ზარინას ცხოვრების დღეები. ის დღეც არაფრით განსხვავდებოდა სხვებისაგან, სანამ ძეგუს წამოსაყვანად ავიდოდა. ცხენი ადგილზე რომ აღარ დახვდა, მიიხედ-მოიხედა, იქნებ თოკი აიშვა და ძოვა-ძოვით ტყის სიღრმეში შევიდაო.

მაგრამ იმ ხეს რომ მიუახლოვდა, რომელზეც ძეგუ იყო გამობმული, თოკის ნაცვლად ხის ტოტზე მოყვითალო რვეული შენიშნა. ფრთხილად, თითქოს ეშინიაო, ჩამოიღო რვეული, გადაშალა და რვეულის პირველი გვერდი შეეხმიანა:

საყვარელო დაიკო ზარინა! ჩემო ერთადერთო დაო ზარინა! ალბათ ბრაზი მოგერია, ჩემისთანა გულქვა ძმა რომ დას გიწოდებს. არა? ჩემი წერილი იქნებ ბოლომდე არც წაიკითხო, შორს მოისროლო იმგვარად, როგორც ცხოვრებამ ისროლა შენი ძმა შუაგულ წუმპეში.

მაგრამ გთხოვ, ჩემო გულდარდიანო დაო, მომისმინო და ნება მომცე ჩემს წერილში დაი გიწოდო, იგი უცნაური ძალით ეალერსება ჩემს აზრებს და შენთან ლაპარაკი მიადვილდება. თუმცა, შენ მართალი იქნები, თუ იმ სახელთან, მე რომ მელის, საყვარელი დის წყევლა-კრულვაც მომივა. შენი დიდი გლოვის ჟამს მიგატოვე და აქ ყაჩაღივით, ნადირივით დავძრწი. ყაჩაღსა და ნადირზეც უარესი ხარო, რომ თქვა, მაინც არ შეცდები, ჩემო სანუკვარო, არ შეცდები.

მაგრამ, ჩემო ზარი, მთელმა ჩვენმა მთიელებმაც რომ მიწოდონ ერთხმად ყაჩაღი და ნადირი, მგონია, რომ შენ მაინც ამას ვერ უწოდებ ძმას, რომელთან ერთადაც იზრდებოდი ჩაგრული და ალერსმოკლებული. შენ თვითონ იცი, თუმცა მოზრდილი ვიყავი, ქათმის დაკვლაც კი მიჭირდა. თუმცა, დაო, არ იფიქრო, თითქოს თავს ვიმართლებდე შენს წინაშე, ან გთხოვდე, შემიცოდე მეთქი. არა, ძვირფასო, არა, განა იმად ვღირვარ, რომ დას ვუყვარდე! ოღონდ ეს არის, ამ წერილის წერისას, როგორც სარკეში, ისე დამიდგა თვალწინ ჩვენი პატარაობა; დედინაცვლის კოპებშეკრული გამოხედვა ხომ ისე უხეშად გვიჭერდა ყელში, რომ შენ ბავშვივით თამაშით გართული და გაცინებული არასოდეს არავის უნახიხარ. მაინც როგორ ვეფერებოდით ერთმანეთს, თანაც, მამას რომ გული არ სტკენოდა. ერთხელაც არ გვითქვამს ჩვენი გასაჭირი!

არც ლენქას და მთელი სოფლის მოფერება გვაკლდა, მაგრამ, ჩემო კარგო დაიკო, მაინც როგორ გამოვირჩეოდით მთელს ჩვენს თანატოლებში ჩვენი საწყლური იერით! მე უფროსი ვიყავი, ზარი. რაა შეცოდება, შენზე ადრე შევიგრძენი და, გახსოვს მწყემსობისას, როგორ არ მინდოდა ხოლმე შენი დასაქმება? თან რომ საწყლის ლუკმას გვატანდა, იმის უმეტეს ნაწილსაც შენ მოგიტეხავდი ხოლმე. სანამ პატარა იყავი, შენ ეს არ გესმოდა, მაგრამ, როცა გონში ჩავარდი, დიდ ნაწილს აღარ მართმევდი ხოლმე. მაშინ ვიგრძენი დის დიდი სიყვარული რა ძალით იჭრება თურმე ძმის გულში!

არც ისე გეგონოს, დაუვიწყარო დაო, თითქოს მე ნაკლები სიმძიმით დამაწვა მამის სიკვდილი. გული გამიხეთქა-მეთქი, რომ გითხრა, არ დამიჯერებ; უფრო სწორი იქნება, თუ გეტყვი: მე უდანაშაულო არა ვარ მამაჩემის სიკვდილში. ვინ იცის, როგორ ნატრობდა ჩემს ნახვას, მაგრამ, შენს თავს ვფიცავ, ზარი, არ მეგონა, რომ მამა მოკვდებოდა. ო, რა ბედნიერები ვიქნებოდით, დაიკო, იმ დედას რომ ეცოცხლა, ასე ალი-კვალად რომ ჰგავხარ. შენ არ გახსოვს დედა, ჩემო ობლადგაზრდილო, მაგრამ სარკეში ჩაიხედე ხოლმე და იქ

ნახავ ჩვენს კარგ დედიკოს. იქნებ, ასერიგად იმიტომაც შეგიტკბო ჩემმა გულმა, რომ მთლად მას დაემსგავსე, ო, დედას რომ ეცოცხლა, ზარინა, ბედი იმ გულქვა დედინაცვალს არ მოგვივლენდა.

შეიმშრალე თვალები, საყვარელო დაო, მეც შევიმშრალებ, თორემ ცრემლები შენ კითხვას გიშლის და მე — წერას.

თუმცა ეგ თბილი ცრემლები უკანასკნელი საჩუქარია შენი ძმისთვის. მე მათ თან წავიღებ ძვირფას განძად.

ერთს კიდევ გთხოვ: ზარი, მთლად ნუ ამომიღებ გულიდან. კვლავაც მიწოდე შენი ძმა, მანამდე რომ მიწოდებდი, სანამ ამ ცუდ ამბებს გადავეყრებოდი. ისე კი, გაიგებ, ვისი მიზეზითაც მოხდა ყველაფერი ეს. ჩემი წერილი მხოლოდ ლენქას წაუკითხე.

ძალიან მინდა, ზარი, ვიცოდე რას ამბობს ჩემზე ხალხი, რაში მადანაშაულებენ. მაგრამ ყველაფერი არ ირწმუნო. მე თვითონ მოგიყვები სიმართლეს და მენდე, თუ კიდევ მთვლი შენი ნდობის ღირსად. ო, დამიჯერე, ჩემო გულდათუთქულო დაო, რომელიღაც მწერალს უთქვამს, „სიკვდილის წინ არ ცრუობენო“.

ჩვენთან ერთი ქუთაისელი ბიჭი იყო, ჩვენი გამოქცევის წინ დედა მოუვიდა სანახავად და ერთი თუმანი მისცა. ჩვენ გამოვიპარენით. იმ თუმნით ორი ბოთლი არაყიც ვიყიდეთ, პურიც, თევზიც და ტყეში წავედით. შენი გული არ დამცინებს, იცი, რომ შინ არყის სუნიც კი ჭირივით მძაგდა. ბოთლები გამოვცალეთ და წვიმაც დაიწყო — გზას გავუდექით. მივდივართ, მაგრამ ჩვენ სამიდან ერთმაც არ იცის სად მივდივართ. იქნებოდა ასე ღამის თერთმეტი საათი. ქალაქის ქუჩებში სიჩუმე იდგა, კანტი-კუნტად მიმქროლავი მანქანების შუქზე გამოჩნდებოდა ხოლმე, რა ირიბად ცრიდა ნელი წვიმა. ვერ გეტყვი ქალაქის ბოლოში როგორ აღმოვჩნდით, ოღონდ ესლა მახსოვს: ჩემმა ამხანაგმა ერთ სახლში ფანჯრიდან გადამსვა, სპილენძის გასაღები მომაჩეჩა და ხელით მიჩვენა, რკინის კარადა გააღეო. კარადა გაიღო და ვხედავ; ფულის კონებია! ჩქარ-ჩქარა უბეში ჩავილაგე და ფანჯარაში რომ უკან მოვხოხავდი, ფეხი წავკარი საანგარიშოს, იატაკზე ხმაურით დაეცა და დარაჯი გამოაღვიძა. მახსოვს, ჩემი ამხანაგები როგორ ეცნენ და წამოაქციეს. მერე საქმე რით დამთავრდა, არ ვიცი. ფული წამოვიღე, მაგრამ იმ დარაჯისთვის მე ხელიც არ დამიკარებია. თუმცა, სცემეს თუ მოკლეს, — მეც მიმიძღვის ბრალი, ისევე, როგორც ჩემს უბედობაში ბრალი უდევს ჩემს დედინაცვალს.

მას შემდეგ რაც გადამხდა, ეს უკვე შენც იცი, დაიკო.

ის კი არ იცი, სად და რით ვცხოვრობდი, რას ვაპირებ შემდგომისათვის. წამოღებული ფული ღრმად ჩავფალი მიწაში და ადგილსამყოფელის მოსაძებნად გავემართე. ბევრი ვიხეტიალე ტყეში, მაგრამ საიმედო სამალავი ვერ ვიპოვე. ბოლოს ძალალანქში მოვხვდი და, იქ, სვიით დაბურულ ბუჩქებში, ნადირი და ფრინველიც რომ ვერ შეაღწევს, ისეთ ადგილას დავიდე ბინა. პირველ დღეებში რომ მილიცია დამეძებდა, სულ ახლოდან მესმოდა მათი ხმა.

დღისით მალულად ავძვრებოდი ხოლმე ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე, მიმოვავლებდი ირგვლივ თვალს და თუ უშიშროებას დავიგულებდი, გზაზე გადავიდოდი და ყველაფერს ვიყიდდი, ასე, ზარი, ძეგუს ნუ ეძებ. ამაღამ უნდა მივატოვო ტყე. ამას წინათ ფეხში დიდი ხიჭვი შემერჭო, სიარულს მიშლის და ძეგუც იმიტომ წამოვიყვანე. თუმცა კი ძალიან მიჭირს, საყვარელო დაიკო, იმ ტყის მიტოვება, სადაც დღემდე თვალწინ მიდგას ჩვენი პატარა ნაფეხურები. ძალიან მიჭირს შენგან მოშორება. მალულად ვცხოვრობდი, მაგრამ ყოველდღე გხედავდი, მესმოდა, როგორ ებაასებოდი ხოლმე ხბორებს, როგორ სწავლობდი გაკვეთილებს. ვილა ცხოვრობს ახლა ნადირივით განმარტოებით, მაგრამ ადამიანი, თუ გაუჭირდა, თურმე ყველაფერს გაუძლებს.

ღამ-ღამობით ქარს მოჰქონდა ჩემთან ჩვენი კერიის ხმაური. სოფლის გვერდზე რომ ღელეა, იმისი სუნთქვა სასიამოვნო, თბილ ჟრუანტელს მგვრიდა. ჩემამდე აღწევდა ფანჯრების შუქის შორეული ციაგი. ჩამოვიპარებოდი ტყის პირამდე და მეჩვენებოდა, თითქოს მშობლიური გარემო შემომყურებდა რაღაც ცივი ყვედრებით, დამნაშავესავით... ო, რა ძნელია, ზარი, ყველა და ყველაფერი რომ გაგწირავს. მაგრამ მაინც საშინელებაა მშობლიური კერიის მოწყვეტა. არ მინდოდა გამემხილა, საიდან გწერ წერილს, მაგრამ საკუთარმა გულმა თითქოს მისაყვედურა: ეგ ხომ შენი ერთადერთი დაიკო ზარინაა, ნურაფერს უმალავო. აი, ვზივარ, ზარი, დედიკოს და მამიკოს სამარის ქვებს შორის და მქრალ შუქზე, რომელსაც ცისკარი მიწილადებს, გწერ. საწერი ქაღალდი დედიკოს საფლავის ქვაზე მაქვს გაფენილი. მის წინაშე მაინც იმდენად არა ვარ დამნაშავე, მაგრამ მერიდება, მამის საფლავი ჩემი მკლავის დადებით დავამძიმო.

ამაღამ გტოვებთ ყველას. თქვენი მზერა მაგრძნობინებს, რომ მოგშორდეთ. ო, ზარი, დახე, დედის საფლავის ქვა როგორ გათბა! მეჩვენება რომ ეს მისი სხეულის სითბოა — ამოგზავნილი მისგან იმის საწინდრად, რომ არ მიშვებს. აქედან მივდივარ, ზარი! ჩემი ტოლები ამ ცხოვრებას თავიანთი ალალი შრომით ამშვენებენ, მე კი მფრთხალი კურდღელივით ტყე-ღრეში დავძრწი უსინდისოდ. ნუ მკითხავ, ზარი, სად მივდივარ; არ კი გიმალავ, დაიკო, მაგრამ თვითონ მეც არ ვიცი, — სად. ნუღარა სტირი. ვინც დატირების ღირსი არ არის, მასზე დის ცრემლი არამია. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო დაო. შენი ძმა თაიმურაზი“.

წერილის წაკითხვა დიდი ხანია დაამთავრა, მაგრამ თვალს მაინც ვერ აშორებს. ისევ ხელახლა გადაავლო თვალი. მისი გულივით ტიროდა წერილის ყოველი სიტყვაც. ერთხელ კიდევ სურდა წერილის წაკითხვა, საიდანაც ისმოდა თაიმურაზის ნაღვლიანი ხმა, მაგრამ ასოებსა და თვალებს შორის ცრემლი ღრუბლის ქულასავით იდგა და საუბარს უშლიდა. თაიმურაზ! ღაღადებდა ზარინას გული და თვალებს ნელ-ნელა ხუჭავდა. ერთხანს უხმოდ იჯდა, მერე ნელა ადგა, სინათლე ჩააქრო და ლოგინზე პირქვე დაემხო. მის დამწუხრებულ ღაღადს კედლებიც კი იზიარებდნენ. თითქოს ჯანიც გამოელია, გულიც უწუხდა, ფიქრები სხვადასხვა გზით გაურბოდა.

იგი ფანჯრის ნაპირზე ჩამოჯდება. ფიქრები ერთმანეთში ერევა. ისმის რაღაც ხმები და მათ შორის თაიმურაზის ხვეწნა-მუდარის ხმა: „ჩემზე მთლად გულს ნუ აიყრი“... „არასოდეს“... ამოიკვნესებს დის გული. მაღლა აიხედა, თვალი ნისლიან ცას გადაავლო. მასავით ლამაზი ვარსკვლავები ნისლს მიეფარნენ, თითქოს მის ნაღვლიან გულს თანაგრძნობას უწევენო. მხოლოდ მთვარე ანათებს უფროს დასავით მოიმედედ მდგარი. ზაფხულის თბილი სიო მოალივლივებს თბილ ტალღებს. ასეთ შემთხვევაში ტყის სიწყნარე და ნაკადულის პირას გოგონების სიცილ-კისკისი გასართობად იწვევს ადამიანს. ფრინველის გაბმული გალობა მოესმის. ო! მას ესმის ყველაფერი: აგერ ჭორიკანა ქალივით ქარმა დღეის მზისგან დამწვარ-დადაგული ფოთლების გროვა შეაშრიალა. თუმცა ზარინას ამათთვის სადა სცალია, ფიქრებმა აიყოლია. დატანჯა ობოლი გოგო. თითქოს ამ მდუმარებაში ცხენის ფეხის ხმა და მხედრის ქშენა მოესმა, ფიქრი გაუწყდა, უფრო ფართოდ გამოაღო ფანჯარა და მოლოდინით მიაშტერდა მუხნარს.

უყურა გაშტერებულმა, ცრემლიც შეაშრა და ლოყა ნაწვიმარი ვაშლივით უბრწყინავდა. ტუჩები შეარხია, ერთადერთ ძმას მოუხმო: — თაიმურაზ, არ დამტოვო მარტო. პატარაობისას ხომ ძალიან გეცოდებოდი. მწყემსად რომ დავდიოდით, ხელს არც კი მიშვებდი. მშიშარა არასდროს ყოფილხარ. ეცადე, გამოასწორო შენი დანაშაული. სად გაურბიხარ შენთვის ყველაზე ძვირფასებს? მოინანიე შეცდომა, დამიბრუნდი და ისევ ერთად ვიაროთ მწყემსად, როგორც ჩვენი მამა დადიოდა, ჩვენც მასავით შრომით მოვიპოვოთ სახელი. დაბრუნდი, თამუ! კვლავ გავიყოთ ღარიბული ლუკმა, ჭირი და ლხინი, გადავუხადოთ ჩვენს კეთილ მეზობლებს, რაც ამაგი დაგვდეს. ოი, არაფერი დაგვიწყებია ბავშვობისდროინდელი! არც მე დამვიწყებია, თუმცა როგორ შეიძლება დავიწყება! წვიმაც ყველაზე ადრე ჩვენ გვასველებდა და მზეც ყველაზე გვიან ჩვენ გვათბობდა.

მეც მახსოვს მეზობლებთან ერთად ტყის ალერსი და მოფერება. რამხელა სიყვარულია ჩვენს გულებში ამ ბებერი ტყისადმი, როგორ გვზრდიდა თავის ჩრდილში ნორჩი ნერგებივით. ზამთარშიც ის გვათბობდა და ზაფხულშიც ის გვიფარავდა სიცხისაგან. ახლა ისიც მოგბეზრდა და ნეტავ საით მიგაფრენს ფიქრი. რად აგერია ასე გზაკვალი, შენ აზრადაც არ მოგივიდოდა ბოროტების ჩადენა, მაგრამ ძალზე პატარა იყავ, როცა ამ გზას დაგაყენა დედინაცვალმა, მთელი ოჯახის გამაუბედურებელმა, — რატომ შეცდი, ძმაო რატომ! რად გაიხადე სანანებლად საქმე...

თარგმანი გიორგი გესთაუთისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ლაფაჩმა ბედი ქართულ თეატრს 1927 წლიდან დაუკავშირა. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც დიდმა რეჟისორმა ს. ახმეტელმა რუსთაველის თეატრთან სამწლიანი ექსპერიმენტულ-დრამატული სახელოსნო გახსნა, რათა თეატრის დასი ახალი საიმედო ძალებით შეევსო და გადაეხალისებინა. აი, რას წერს ქართული თეატრის მკვლევარი პროფესორი ვასილ კიკნაძე:

— „სანდრო ახმეტელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მსახიობის ფიზიკურ მონაცემებს, იგი საგანგებოდ არჩევდა ათლეტურ, ძლიერი და მშვენიერი სხეულის ადამიანებს სცენისთვის, საგანგებოდ ასწავლიდა მსახიობებს რიტმს, მუსიკას, ტანვარჯიშს... ახმეტელისათვის პლასტიკური, დახვეწილი, ძლიერი და ლამაზი აღნაგობის მსახიობი გმირული თეატრის ესთეტიკურ იდეალსაც წარმოადგენდა".

„ოიდიპოსი", იოკასტე — ნ. ლაფაჩი.



# საგმირ

თავისთავად ის ფაქტი, რომ ნინო ლაფაჩი ს. ახმეტელმა თავის სტუდიაში მიიღო, ბევრის მთქმელია. ნინოს ყველა ის შინაგანი და გარეგნული მონაცემი ჰქონდა, რომელსაც ს. ახმეტელი მსახიობისაგან მოითხოვდა.

ნინოს დებიუტი რუსთაველის თეატრში 1930 წელს შედგა. ს. ახმეტელმა მას ტატიანას რთული მხატვრული სახის განსახიერება მიანდო ლავრენევის „რღვევაში". ამ როლს ნინომდე ასრულებდნენ თამარ ჭავჭავაძე. თიკო ლვინიაშვილი, მერი ჯაჯანაშვილი (ნინოს შემდეგ თამარ ბაქრაძე). სწორედ ნინოს დებიუტის შემდეგ უთქვამს ს. ახმეტელს თეატრის ფოიეში: „აბა, ახლაც თქვან, რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელს მსახიობი ქალები არა ჰყავსო".

ახალგაზრდობის წლები საინტერესო შემოქმედებითი ძიებებით გამოირჩეოდა. თუმცა ნინომ წარმატებით შეასრულა მთავარი როლი „რღვევაში", მაინც სიამოვნებით ასრულებდა „მეორე ქალისა" თუ „ქისტი ქალის", „მუშა ქალისა" და „თავადი ქალის", „ბავშვიანი ქალისა" და „მეოთხე ქალის", „გლეხის ქალის" ან „სტუმარი ქალის" ეპიზოდურ როლებს სხვადასხვა დადგმებში.

ამავე წლებში მან წრფელად, ხატოვნად და საინტერესოდ განასახიერა — როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ — ზაველინა და ელენე (შიუკაშვილის „ამერიკელი ძია", „სულელი"), მათიკო, ოლენა (ს. შანშიაშვილის „სამნი", „განგაში"), მთვარისა, ლილი — (ს. მთვარაძის „შლეგი", „მთაგრეხილზე"), ლიდა, სალომეა (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", „ბოგდან ხმელნიცკი"), ეპრაქსია (პ. სამსონაძის „სალტე"), ფაცია (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან"), კორინკინა (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), ბიანკა (შექსპირის „ოტელო"), ამავე პერიოდს ეკუთვნის ნინოს როლი ს. შანშიაშვილის „არსენაში". 1936 წლის მოსკოვის დეკადაზე ხომ ნინო სწორედ ამ როლით წარსდგა მაყურებლის წინაშე. აქ მსახიობი ქალი აკაკი ხორავას უწევდა ღირსეულ პარტნიორობას.

სულ უფრო მრავლდებოდნენ ნინო ლაფაჩის გმირები. უფროდაუფრო სრულყოფილად, არტისტულად და ოსტატურად განასახიერებდა ის როლებს.

1939 წ. კიევისა და ხარკოვის საგასტროლო რეპერტუარში ლაფაჩმა ხუთი მთავარი როლი შეასრულა. პრესამ მის ელენეს (შიუკაშვილის „სულელში") „მიზანსწრაფული, ძლიერი ქალი" უწოდა;

სამამულო ომის მძიმე წლებში, როცა რუსთაველის თეატრს წუთითაც არ შეუნელებია შემოქმედებითი ძიება, როცა ჭაბუკი მსახიობები თეატრალურ ნიღბებს ემშვიდობებოდნენ და ჯარისკაცის ფარაჯას იცვამდნენ, როცა რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე ცეცხლის ხაზთან სულ ახლოს ქართველ მეომრებს გმირული გზნებით მიმართავდა: „ნება მიბოძეთ, შემოვიდე კაცთა კრებულში", ნინო ლაფაჩიც რუსთაველის თეატრის კოლექტივთან ერთად ლაზარეთიდან ლაზარეთში შეუსვენებლად გადადიოდა და ცდილობდა დაჭრილი მეომრებისთვის მცირე რამ შვება მაინც მიეცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი შემოქმედებით. მსახიობი იმ მძიმე წლების მოსაგონრად სათუთად ინახავს მეთაურთა ოფიციალურ მადლობებსაც.

რუსთაველის თეატრის ომისდროინდელი და ომისშემდგომი პერიოდის რეპერტუარშიც პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული სპექტაკლები სჭარბობდა. თეატრის რომანტიკული, ჰეროიკული ტრადიცია ომის ქარცეცხლმა უფრო მეტად გამოკვეთა და გაამძაფრა.

იმდროინდელ რეპერტუარში ნინო ლაფაჩმა ბევრი საინტერესო, ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობითა და მამულიშვილური პათოსით აღბეჭდილი მხატვრული სახე შექმნა. ამ პათოსს საფუძვლად გამარჯვების აღზევება და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ედო.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში ფაქიზად არის დაცული ნ. ლაფაჩის როლების ნუსხა. ფერდაკარგული ქაღალდები მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრების ამაღელვებელი დღეების მანიშნებელია. აი ნ. ლაფაჩის 40-50 წლების რეპერტუარი: დოლორესი (სარდუს „ფლანდრია"), მარფა (დარასელის „კიკვიძე"), თეკლა (შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე"), რუქაია (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი"), ქეთევანი (ერისთავის „სამშობლო"), ასმათი (კლდიაშვილის „ირმის ხევი"), მარინა ნაგაია (სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე"), კლეოპატრა მამაევა (ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება"), ლიზა (ჩირკოვის „გამარჯვებულნი"), ბეატრიჩე რასპონი (გოლდონის „ორი ბატონის მსახური"), ლიდა (ბარანოვის „იმათ მხარეში"), ვალიდა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი"), ნინო ჭავჭავაძე (მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი"), დესპინე (დადიანის „ნაპერწკლიდან"), მარიამი (ვაკელის „საქმიანი კაცი"), აგაფია (გოგოლის „ქორწინება"), ვიოლანტა (ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი"). ეს მსახიობის მხოლოდ ათ-თორმეტწლიური რეპერტუარის სცენური სახეებია.



„ღალატი". რუქაია.

# ნინო



„ჰამლეტი". ჰერტრუდა.

სევდანარევი ღიმილით იხსენებს მსახიობი ცეცხლოვან, მომხიბვლელ რუქაიას სახეს და ამბობს: — „ეს იყო აკაკი ხორავას პირველი რეჟისორული ნამუშევარი თეატრში. „ღალატი" რევოლუციის შემდეგ პირველად დაუბრუნდა ქართულ სცენას. ხორავამ გადმომცა პიესა და მითხრა, როლი შენთვის ამირჩიეო. ეს, რა თქმა უნდა, საერთოდ ასე არ ხდება, გამიკვირდა კიდევაც, მაგრამ როგორც შემდეგ შევიტყე, ხორავას ასევე შეუთავაზებია არჩევანი სხვა ჩემი კოლეგებისთვისაც. ალექსანდრა თოიძემ და რუსუდან ბერიძემ გაიანეს როლი აირჩიეს, ისინი დუბლიორები იყვნენ და შესანიშნავადაც განასახიერეს ეს როლი. ამ სპექტაკლში ზეინაბის როლს ნუცა ჩხეიძე ასრულებდა. ჩვენი თაობის მსახიობი ქალებისთვის ნუცა ჩხეიძე სიმბოლო იყო პროფესიონალიზმისა, არტისტულობისა, სათნოებისა და მომხიბვლელობისა, ჩვენ ყველანი ვეკრძალებოდით იმ ტკბილმოუბარსა და დარბაისელ მანდილოსანს, როგორც ციცინათელას, ისე შევყურებდით". ქალბატონი ნინო უბრალოდ, სადად ამბობს ამ სიტყვებს და თქვენ გრძნობთ დამაჯერებელ კეთილშობილებას, თეატრში უფროს-უმცროსობის ეთიკის პატივისცემასა და ფარულ სევდას შორს დარჩენილი პროფესიის გამო.

1958 წელს მოსკოვში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დიდი წარმატებით ჩაატარა დეკადა. სამი მთავარი როლი, სამი გამარჯვება ხვდა ნ. ლაფაჩს დეკადაზე. იოკასტა („ოიდიპოს მეფე"), კომისარი („ოპტიმისტური ტრაგედია"), ვიოლანტა („ესპანელი მღვდელი"). საკავშირო პრესამ მის აქტიორულ ქმნილებებს უმაღლესი შეფასება მისცა. გაზეთი „პრავდა" 1958 წ. 24 მარტის ნომერში წერდა:

— „დიდი მხატვრული ტაქტით მიჰყავს იოკასტას როლი ნ. ლაფაჩს, მსახიობი ავლენს საოცარ ქალურობას, არტისტულ გრაციასა და მგზნებარე ტემპერამენტს. იგი ბრწყინვალედ ატარებს სცენას, როდესაც ოიდიპოსს თავის შვილად შეიცნობს. გამომსახველია მისი მოცახცახე ხელები, ფართოდ გახელილი, შემაძრწუნებელი, საშინელებით აღსავსე თვალები. მსახიობმა ამ ხანმოკლე სცენაში ნათელი დამაჯერებლობა ჩააქსოვა". რეცენზიის ავტორია რსფსრ სახალხო არტისტი მეჟინსკი.

ორგზის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი, მთავრობის მრავალი ჯილდოს და მადლობების მფლობელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო ლაფაჩი ამჟამადაც დაუცხრომელ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში. იგი თეატრალური მხატვრობის სამეცნიერო შემოქმედებითი კაბინეტის უფროსი კონსულტანტია.

როდესაც ქალაქს ბინდი ჩამოაწვება, ამ დროს თეატრის მუზები იღვიძებენ, მსახიობები თეატრისკენ მიისწრაფვიან...

ქ-ნი ნინო ფიქრით თავისი შექმნილი გმირი ქალების მრავალფეროვან კრებულს გახედავს ხოლმე. მათი რიცხვი სამოცს აღწევს. შემოქმედისათვის ძნელად შესალევია მათზე ფიქრი. ისინიც არ ტოვებენ მსახიობს.

ასმათ ქანდაურიშვილი

# «...მაგრამ მრავალშვილის მშობელი»

ქალბატონი ბაბო მჭედლიძე პედაგოგთა იმ ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელია, კვალი ნათელი რომ დააჩნია ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის, მათში სპეტაკი ზნეობის, მრწამსის, მამულის უანგარო სიყვარულის დანერგვისა და განმტკიცების საქმეს!

ბაბო მჭედლიძის მიერ აღზრდილთა მთელი ლაშქრიონი ახლაც მოწიწებით ეამბორება გამზრდელ ხელს, კრძალვით ისმენს მის შეგონებებს და თავს ხრის მისი ყოვლისმცოდნე გონის, ყოვლისმჭვრეტელი ხედვის წინაშე...

ასეთი გვახსოვს იგი — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პირველივე გაკვეთილიდან, და ასეთია დღესაც რუსთაველის გამზირზე მომავალი. იგი ყოველთვის საზრუნავით არის აღსავსე: ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, ეხმაურება უშრეტი ენერგიითა და შინაგანი მგზნებარებით.

მისი ერთი მონაფეთაგანი გახლავართ, და ვამაყობ ამით. მისმა გაკვეთილებმა შთამინერგა ქართული მწერლობის, ქართული სიტყვის სიყვარული. მან გადამიშალა ამ მწერლობის ოქროს ფურცელი, გამილვივა და ამინაპერწკალა პატარა გულში ჩამალული ძარღვი ლექსისა, გამაქეზა და დამლოცა. და, ვინ მოთვლის, რამდენი ჩემნაირი მადლიერი ჰყავს ამ შესანიშნავ აღმზრდელს!

მასწავლებელი, ზოგჯერ
უშვილო,
მაგრამ მრავალი ბავშვის
მშობელი-ო.

ასე ამბობდა ჭეშმარიტი პოეტი და ღირსეული ადამიანი იოსებ ნონეშვილი, და ჩვენც, ბაბო მჭედლიძის აღზრდილებს ყოველთვის გულს გვეალამუნება ეს სტრიქონები.

რადგან მშვენიერი დღე, ქალთა დღე — რვა მარტი დადგა, მინდა მას პირველს მივულოცო გაზაფხულის, ბუნების განახლების ზეიმი, ვუსურვო ჯანმრთელობა და სიძლიერე სულისა, რითაც აგრერიგად არის ცნობილი მისი სახელი!

**ნაზი კილასონია**



ბაბო მჭედლიძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

# ფრთხილად! ახლოს ბავშვია!

უბავშვო სახლი ერთ მიდამოა, სადაც არავინ ხარობს, არც ნუხილი ნაღვლისა იცნობა და არც ილევა ბუნებისაგან ადამიანისათვის განკუთვნილი სიცოცხლის ვადა! მაგრამ სულ სხვაა ბუნების მეტყველების კანონი: ცხოველები, ფრინველები, მწერები მათ მიერ ბუნებაში, ხეებზე თუ ნაპრალებში ნაშენი ბუდეები და მათი მკვიდრნი ამის ცოცხალი მაგალითია. მიმზიდველია ბუნების სამყარო, — თვალთავან ოფრად დასახსხი მწერიც კი ფუთფუთებს. არ უნდა შეელებს სარჩოსაბადებლის დაკლების, — ეს იუცოცხლე რამ არსებობისათვის. მაგრამ სხვაა ნაღვლი ადამიანისა. საზრუნავი ვარბილი არსებაა: სრულყოფილი თაობა უნდა აღზარდონ ვარსებრივად, სულიერად და ეს არც თუ ისე იოლი საქმეა.

ბავშვი ჩვილობიდანვე ყველაფრის ხედავს, ყველაფრის ისრუტავს თანდათან, მაგრამ ეს არის, რომ ცუდისა და ავის, სიკეთისა და ბოროტების გარჩევ-გამიჯვნის უნარი, ამის უნარი, თუ რა მილის, რა დაგმის, — ჯერ არ გააჩნია. ამიტომ არის, რომ ბავშვს ბუნებამ მშობლები, აღმზრდელები მიუჩინა სათანადო ტაქტით, სიფხიზლით, გულმოდგინებით აღსაზრდ. — არ იდულობენ აქ მშრალი შეგონებები, რიტორიკული დარიგებები — მაღალფარდოვანი ფრაზებით შემკული; მთავარია საკუთარი მაგალითის ჩვენება — კეთილი მაგალითისა, რაც უპირველესად, გამოიხატება უფროსთა შორის ურთიერთ დამოკიდებულებით: პატივისცემით, თავაზიანობითა და სიფაქიზე-სინაზით. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ირღვევა ხოლმე თავს უბეში გამოულინებები აღმზრდელების მხრივ — ჩხუბი, ერთმანეთის ლანძღვა, რომელიც, ვინ იცის, რა ფორმებში არ გადადის და, ყოველივე ეს ბავშვის თანდასწრებით! უფროსებმა ჯერ გრძნობენ ამ დროს ბავშვის მდგომარეობის სიმძიმეს. სრულიად უგულებელყოფენ ამ მთავარ მომენტს — ყველაზე მეტად გამოცდილ და გადამტანს მათი საქციელისას და, რაც მთავარია, ჯერ მაშინ გრძნობენ ხოლმე რათმე, როდესაც მომწიფარი ამბების საპასუხოდ გულამომჯდარი ბავშვი ტირილს აწყებს, რითაც უნებურად ამჟღავნებს საკუთარ არსებაში ჩასახულ მძიმე სულიერ ტრავმას!

მაგრამ ჯგუფში მშობლებისა და აქედან გამომდინარე ყველაფრი ინტრიგები უფრო მეტად მჟღავნდება, როდესაც დედა და მამა ერთმანეთს სამუდამოდ სცილდებიან. ბავშვმა არ იცის რომელი გაამტყუნოს, ან რომელი გაამართლოს, ან საერთოდ, რა არის მათი დანაშაული, — რომელია მათ შორის კარგი, რომელი ავი, ან რა არის ეს „სიავე". მას ხომ ჯერ ცხოვრების ვერანი ხვეულები არ გაუვლია, რომ ცდომილების დაბალ ინტრიგებში გაერკვეს. არც იმ შეგონებიდან ესმის რამე, მამა რომ ცდილობს შვილმა აიყაროს გული დედაზე და პირიქით. დედაც თავის მხრივ გულს იოხებს ხოლმე მამის აუგად მოხსენიებით, — ბავშვს ხომ ორივე უყვარს — დედაც, მამაც, ნათელი, უანგარო სიყვარულით!... აი, ასე ინერგება მოზარდის გულში ეჭვები მამის მიმართ, დედის მიმართ, — თანდათან მკვიდრდება მათდამი ყოველგვარი ნდობისა და პატივისცემის გამოვლინების შეუძლებლობა და, რაც მთავარია, არა მარტო მშობლებისადმი, — საერთოდ ადამიანებისადმი!..

„ახლად აღმოცენებულ ხის ტოტს გაავლეთ მრუდეთ ხაზი, — ხე გაიზრდება, განახაზი კი ღრმა ნაპრალად, ან მაინც კორძად გადიქცევა" —

დიდი პედაგოგი უშინსკი ამ გამოთქმით განსაზღვრავს აღმზრდელის დიდ როლს!... ბავშვის ხასიათისა და ბუნების ჩამოყალიბებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირა ქიტიაშვილი

## მაკრინე

ატმის ყვავილ ვიავი,
კეკლუცად გაფურჩქნილო
გაუდიდებულო დედაჩემ,
რატომ დამარქვი „მაკრინე".
ტოლ-სწორის გასაცინარად
მითხარი, რატომ გამწირე,
რისთვის დამარქვი მაკრინე,
რატომ დამარქვი მაკრინე?!
მე მემღეროდა თამარი,
ირინე ანდა მარინე,
ან მზია ყვავილოვანი,
ან ჩიტად რად არ მაქციე,
ვიქიქინე და ვიცინე,
სახელიც დიდად გამკრთე —
და... ვერ შეგნიშნე დედიკო
ოქროს გული რომ გქონდა,
ცხრა მზეთუნახავს გამზრდელი,
ჩემი სახელის მაკრინე.
ვინანე, ვაი ვინანე,
თვალს ცხარე ცრემლი ვადინე,
დარდიც ვატარე ლოდივით,
გულიც მეწყინა საცრა.
მაგ თბილ ქალაქის ეთიკარ,
რა აღარ მოვინახულე —
უსიყვარულოდ დამტოვე
ჩემი ბერდედი მაკრინე
შენი ნაქარგი თავშალი,
ძონძაზე გადმოვკიდე,
ლხინის სუფრაზე შემოვდგი,
შენი ნამზითვი სალუქი
შენი თვალებით მიცინის
შენი ნაქსოვი ხალიჩა,
ღრმად მაქვს შენი სახელი
მაკრინეს ვენაცვალები,
შვილიშვილებსაც დავარქმევ,
თუ მეყოლება ქალები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს! — ეს დევიზი უნდა გახდეს ჩვენი ყრილობის ერთ-ერთი განაწესი ყველასათვის... თითოეული საბავშვო სამეცნიერო დაწესებულება, ბავშვთა ჯანმრთელობისა და დასვენების კერა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ბავშვებს ეკუთვნით და ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული, საუკეთესო და მხოლოდ საუკეთესო უნდა იყოს“:

საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის საანგარიშო მოხსენებიდან.

# დედის თვალები

დედას საოცრად ემარჯვება თვალებით საუბარი... მასში უთქმელად ამოიკითხავთ სიხარულს, წუხილს, გულისტკივილს, სიამაყეს, გაოცებას, სინანულს თუ... ერთი სიტყვით, როდესაც საქმე შვილს ეხება, ძნელია დედის განცდებს სახელი მოუძებნო...

... სამშობიარო სახლში პირმშოს მომლოდინე ქალის თვალები გინახავთ? ჩვილის პირველი ყვირილით ბედნიერი დედის თვალების შუქი შეგინიშნავთ?.. წამით ტკივილებდავიწყებული ბედნიერებით სავსე თოთოს ხელით ეპოტინება, ექიმს გაფართოებულ თვალებს არ აშორებს, არ შეეცვალოთო კრთება დედის გული.

დამეთანხმებით, დედის თვალებს საოცარი გარდასახვის უნარი აქვს. ეს საწერეთლოში მიამბეს... არც ის დაუფარავთ, მეორე წელია სევდა გაქრა ჩვენი ახალგაზრდა დედის თვალებშიო..



ეროვნული ბიბლიოთეკა





ბავშვების ჯანმრთელობისადმი გულთბილი დამოკიდებულება უპირველესად პარტიის საჩხერის რაიონულ კომიტეტში იგრძნობა, წარსულის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სწორედ რაიკომმა წამოსწია წინა პლანზე ბავშვთა სამედიცინო მომსახურების პრობლემები, დღის წესრიგში დააყენა მისი გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძებნის აუცილებლობა.

...ამ ორი წლის წინათ ბავშვთა სიკვდილიანობით რესპუბლიკის სამ რაიონთან ერთად საჩხერემაც „გაითქვა“ სახელი.

1979 წლის ოქტომბერში რაიკომის პლენუმმა პრინციპულად იმსჯელა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე, დასახა მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

საჩხერის რაიონულ საავადმყოფოში შექმნილმა მდგომარეობამ ჩააფიქრა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. შემდგომ, ერთობლივად ყოველივე გაანალიზდა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა არა დაპირებებით, არამედ კონკრეტული საქმით შეფასდა. სწორედ იმ ხანებში გაიგზავნა თბილისიდან საავადმყოფოს მთავარ ექიმად გურამ ვასაძე. შედგა საჩხერის რაიონის ბავშვთა სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების კომპლექსური გეგმა, თეთრზე შავით დაიწერა მთავარი ექიმის პირველი ბრძანება: „...გარდაცვლილ ბავშვთა ავადმყოფობის ისტორიების ანალიზით გამოირკვა, რომ საჩხერის რაიონის სოფლებში ბავშვების სამედიცინო დახმარების საქმეში იყო ნაკლოვანებები, რაც ძირითადად გამოიხატებოდა საშუალო სამედიცინო პერსონალის უპასუხისმგებლო მუშაობით. არ ეწყობა სისტემატური და ხარისხიანი პატრონაჟი, დროულად არ ხდება ბინაზე ავადმყოფის გამოვლინება, რამაც დაგვიანებული ჰოსპიტალიზაცია გამოიწვია, მას მოჰყვა ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზი...“ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაისახა კონკრეტული გზები. მუშაობა გამოაცოცხლა ბავშვთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტმა. შემოწმდა ყველა ბავშვის სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობა. მკაცრი კონტროლი დაწესდა ბავშვთა შობადობისა და სიკვდილიანობის რეგისტრაციაზე. მოწესრიგდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო კვების თანხის ათვისების ორგანიზაცია, რაიონის ცენტრალურ სასურსათო მაღაზიაში ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების სპეციალური განყოფილება შეიქმნა. ჯანმრთელი ბავშვებისათვის პოლიკლინიკაში მოეწყო ოთახი. კონკრეტულად განისაზღვრა სამკურნალო პროფილაქტიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები. ზრუნვა დაეტყო პოლიკლინიკას, საავადმყოფოს ბავშვთა და სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებას, იმათა დიდის სიხარულმა...

მთავარი ექიმის მოადგილეები ლამარა ხვედელიძე, ლეილა კილაძე და გენო ბარათაშვილი რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილის ლაურა ჯორბენაძის დახმარებაზე გვესაუბრნენ. თქვეს, დედაქალაქის შეფობამ ხელი შეუწყო საქმის ნაწილობრივ წარმატებასო.

... სუფთაა და ნათელი სამშობიარო-გინეკოლოგიური განყოფილება. ხოლო ჯერჯერობით, ბავშვთა განყოფილება ძალზე დატვირთულია. როგორც გადმოგვცეს, დაწყებულია ზრუნვა საჩხერის საავადმყოფოში მიშენებითი სამუშაოების განსახორციელებლად, სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილებისათვის ცალკე კორპუსი აიგება.

გადაიდგა მთავარი და გადამჭრელი ნაბიჯები. პატრონაჟის მედდები ადგილებიდან ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყოველდღიურად გადასცემენ ცნობებს საავადმყოფოს. ყოველდღიურად მოწმდება ერთ წლამდე ასაკის ყველა ბავშვის ჯანმრთელობა, დაუყოვნებლივ ხდება დაავადების გამოვლინებისთანავე ორ წლამდე ასაკის ყველა ბავშვის ჰოსპიტალიზაცია. საქმის სასიკეთოდ დაირღვა პატრონაჟის მიერ სამშობიაროდან გაყვანილი ბავშვების ნახვის ვადები. ერთ წლამდე ბავშვს (ნაცვლად იმისა, რომ 10 დღეში ერთხელ ნახულობდნენ) ყოველდღიურად აკონტროლებენ.

16.796

კ. მარქსის სახ. საქ.
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1979 წლის ბოლოსათვის 47,2 იყო, 1980 წლის ბოლოსათვის კი — 20,2, ახლა 19-მდე ჩამოვიდა. ჩვილბავშვიან დედებთან სპეციალური რვეული ინახება, შიგ პატრონაჟის დის ჩანაწერებია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მთელი რაიონი ცხრა უბნად დაიყო, უბნები — მიკროუბნებად. უბნებზე სტაციონარის თუ პოლიკლინიკის ყველა პედიატრია მიმაგრებული. რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების" ფურცლებზე სპეციალური რუბრიკა დამკვიდრდა: „ბავშვის სიცოცხლეზე ვაგებთ პასუხს". როცა ზოგიერთი რამ მოგვარდა, საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ მუშაობის სხვა შინაარსზე იფიქრა.

საავადმყოფოდან გაწერილ ჩვილის დედას „ბავშვის სამედიცინო წიგნაკს" ატანენ; წიგნაკი დედას წლების მანძილზე ბავშვის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას გაუადვილებს.

მეგობრებისაგანაც ვსწავლობთ — მთავარი ექიმი ლენინგრადის, მოსკოვის, კიევის სამშობიარო სახლების გამოცდილებას გაეცნო, კიევში ახალშობილთათვის სპეციალურად გახსნილ მათი გზის დალოცვის საზეიმო რიტუალების სახლებშიც იყო, სამახსოვრო მედალიონები შემოიღო. ვარდისფერ მოწმობას (გოგონასთვის) ყელმოღერებული ირემი ახატია, ცისფერს (ვაჟისთვის) — ლომის ბოკვერი (ისევე, როგორც მედალიონებზეა გამოსახული) თან აკაკის ლოცვა-კურთხევა ახლავს: „გაივსე და გაიზარდე

პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე
სამშობლო მხარეო."

— ირემი სილამაზის სიმბოლოდ, ლომი ძალისა და ვაჟკაცობის მაჩვენებლად დავუსახეთო, აგვიხსნეს ექიმებმა. სამახსოვროების გადაცემა საზეიმოდ ხდება. ჯანმრთელობის სამინისტრომ განაზოგადა საჩხერელთა გამოცდილება.

საავადმყოფოდან ჩვილთან ერთად გაწერილ დედას თან მიაქვს მედალიონები, მოწმობები, რიტუალებით მიღებული სიხარული და ხიამაყე. მამებსაც მოსწონთ ახალშობილის ახალი ფორმით „ნათლობის" რიტუალი. ჩვილი სახელშერქმეული გადის სამშობიარო სახლიდან,

დედის თვალები ყველაფერს ამბობს, განსაკუთრებით სიხარულის გადმოცემა ემარჯვება. ამ სიხარულს გრძნობ მთავარი ექიმის სახელზე საავადმყოფოში გამოგზავნილი ცნობების მიღმაც: „გორისის უბანში კარდაკარ შემოვლით შემოწმდა 33 ბავშვი, მამუკა ნადირაძე ავად არის, გადმოაგზავნეთ საავადმყოფოში, დანარჩენი ყველა თავს კარგად გრძნობს. მედდა ნათელა გობეჯიშვილი, გორისის საექიმო ამბულატორიის გამგე ფაცო არის. მედდები თინა ბერიძე, დარეჯან სამხარაძე".

„საირხის უბანი კარდაკარ შემოვიარეთ, ბინაზე შემოწმდა 45 ბავშვი, ყველა კარგად არის". მედდები თინა ბერიძე, დარეჯან სამხარაძე.

„ჭორვილის საექიმო ამბულატორიიდან მედდა თინა მესხი გაცნობებთ: ჩემს სამოქმედო უბანში ერთ წლამდე 20 ახალშობილი მყავს, ყველა კარგად არის".

მუშაობა აეწყო...

იანვარში გრიპის ეპიდემიამ რომ იფეთქა, წარსულის გამოცდილებამ ფეხზე დააყენა მთელი მედპერსონალი. ავადმყოფობა დაამარცხა ყურადღებამ, პასუხისმგებლობამ, გულისხმიერებამ, ადამიანის სიყვარულმა. კობა და სოფიკოს დედამ, სოფელ სავანის სკოლის პედაგოგმა ნაირა ხარაიშვილმა გვიამბო, ექიმთა ყურადღებამ პატარა კობა გადამირჩინაო. დედები ასახელებენ გულისხმიერ პედიატრებს: ცირა გირგვლიანს, ნათელა ჭიღლაძეს, მარინა შუბითიძეს, სულიკო კოტრიკაძეს, დალი ლაშხს, ნათელა იობაშვილს, ნათელა კიკნაველიძეს, ლულუ აბესაძეს და სხვებს.

რამდენი დედა იტყოდა მადლობას?

ციფრებს მოვიშველიებ.

საჩხერის რაიონში 1979 წელს 833 ბავშვი დაიბადა, 1980 წელს — 841, წლეულს ამ სამ თვეში — 200-მდე.

... სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილებიდან საჩხერის საწარმოო საგზაო უბნის ბუხჰალტერმა დარეჯან ცარციძემ მშვიდობით იმშობიარა, შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა და ექიმს თვალებით მადლობა გადაუხადა, გოგონას ქეთინოს დავარქმევო... არგვეთელმა კოლმეურნემ ნარგიზა მოდებაძემ ბიჭს პაატა დაარქვა... ჭალელმა კოლმეურნემ რუსუდან ჩხიტუნიძემ — ბესიკი; — ცისფერი მოწმობა ახლავე შეუვსეთო, სთხოვა დედამ ექიმს. იმ დღეს გაეწერა კორბოულელი მაია მაჭარაშვილი, მეუღლე მშვიდ, დედის ძუძუს მინდობილ გოგონასთან ერთად ჯანსაღი დედა გაიყვანა საავადმყოფოდან; მარინა მაკასარაშვილიც ჩვენთან ერთად კმაყოფილი გაიყვანა მეუღლემ. კორბოულის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ვასო ტაბატაძემ თავის პატარა გიათი დამშვიდებული წაიყვანა ეთერი. საავადმყოფოში კი მათს ვაჟებს ლომის ძალა და ვაჟკაცობა დაანათლეს, გოგონებს ირმის მომხიბვლელობა. საწერეთლოში უფრო ძლიერად გახმიანდა აკაკის სიტყვები: „გაივსე და გაიზარდე პატარა მთვარეო"... დედის შუქიანმა თვალებმა ექიმის ფიცი გამახსენა;

„... ვიღებ რა ექიმის საპატიო წოდებას და ვიწყებ საექიმო მოღვაწეობას, საზეიმოდ ვფიცავ, მთელი ჩემი ცოდნა და ძალღონე მოვახმარო ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას... კეთილსინდისიერად ვიშრომო... ყოველთვის მზად ვიყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის, ყურადღებისათვის... დავიცვა და განვავითარო სამამულო მედიცინის კეთილშობილური ტრადიციები ყველა ჩემს მოქმედებაში...

ვფიცავ, ვიყო ერთგული ამ ფიცისა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე!" ამ ფიცის აღმსრულებელთა ქება დედის თვალებიდან მოვისმინეთ. საჩხერელ მედიცინის მუშაკთა ყურადღება გაგვაცნეს დედებმა მერჯევში, გორისაში, სავანესა და ჯალაურთაში... საოცარია დედის თვალები.

ნათელა ფაილოძე

თემურ ჩალაგაშვილი

## შვილს — პატარა ბექანს

ამოგიყვანა დედამ მკერდიდან
და მოხველ ქვეყნად ფერად სიზმრებით.
შენ მოგყვა შვილო, შენი ხვედრი და,
ბევრიც ეცადო, ვერ ახცილდები.
ჯერ უმწეო ხარ, „ალუც" არ იცი,
ხან უმიზეზოდ სტირი, იცინი,
ჯერ მამის მზერას შენ ვერ განიცდი,
და გეშინია შენივ ჩიმცირის.
ისე მოგერგოს პაპის სახელი,
როგორც მეომარს შუბთარ-ხალათი.
არაფერი სჯობს ცოდვას გამხელილს —
შეგხვდება ბევრი შური-ღალატი,
ქვეყნად შეგხვდება ბევრი სიკეთეც.
საქართველოში ჩვენს ძველ მამულში,
არვინ გაჯობოს, შვილო იცოდე,
მიწის მოვლაში და სიყვარულში.
იქნებ უაზროდ არც იღიმები,
ასეთნი იყვნენ ძველი მოყმენი,
შენ უნდა გერქვას მამის იმედი,
და მამის მკერდზე მიწის მომყრელი.
მინდა გაგზარდო ლომის ბოკვერად,
და არა ფრთხალი, როგორც კურდღელი,
— აჰა, სამშობლოვ შვილი ერთგული,
დაადგი შენი მძიმე უღელი...

ვაჟა ოთარაშვილი

## დედა

მავთულივით დაწვრილდება ღამე
და ცრემლივით სველი ნისლი მოვა...
და მე ვხედავ დედაჩემის თვალებს,
შუბლის ღარებს, ჩემგან დანატოვარს...
მაგონდება გარდასული წლები,
სპირალივით გავუყვები წარსულს:
დედა, როგორ მატარებდი მხრებით,
მე ავადმყოფს, თითქმის უკვე წასულს.
და ის ცოდნა, რაც მე გამაჩნია
და ის შუქი, რითაც ამ მზეს ვხედავ,..
გადანერგვა გულის ამახ ჰქვია,
შენი სული ამ მკერდში ძევს, დედა!..



# ჯანეტ მაკდონალდი

ოცდაათიანი წლების ამერიკული კინოს ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი ჯანეტ მაკდონალდი 1907 წელს დაიბადა ფილადელფიაში. თავისი მსახიობური კარიერა მან თეატრ „კაპიტოლის" მომღერალთა გუნდში დაიწყო, სადაც რამდენსამე მეორეხარისხოვან როლს ასახიერებდა სხვადასხვა მუსიკალურ სპექტაკლებში. პირველი დიდი წარმატება სპექტაკლში: „ჯადოსნური ბორბალში", მთავარი პარტიის შესრულებამ მოუტანა, სულ მალე, ოცდახუთი წლის ჯანეტ მაკდონალდი ამ თეატრის მოწინავე მსახიობი ხდება.

ჯანეტ მაკდონალდის კინოდებიუტი ცნობილ კინორეჟისორ ე. ლიუბიჩის მუსიკალურ ფილმ „სიყვარულის ალლუმში" შედგა. ეს იყო 1929 წლის 19 ნოემბერს, ამ ფილმის პრემიერის დღეს. ეკრანზე მოვიდა „მუსიკალური ჰოლივუდის პირველი ლედი", როგორც მას უწოდებდნენ შემდეგში კინოისტორიკოსები. ეს ფილმი ჭეშმარიტად აგრძელებდა ვენის კლასიკური ოპერეტის ტრადიციებს და გამოსვლისთანავე არნახული წარმატება ხვდა წილად, ეს ერთგვარად საფუძვლად დაედო მომავალი კინოვარსკვლავის ჯანეტ მაკდონალდისა და მისი პარტნიორის შევალიეს უდიდეს პოპულარობას.

1930 წელს ეკრანებზე გამოდის ე. ლიუბიჩის მეორე ფილმი „მონტე-კარლო" ჯანეტ მაკდონალდის მონაწილეობით, მაგრამ ამ ფილმს ისეთი დიდი წარმატება როგორც „სიყვარულის ალლუმს" არ ხვდა წილად და თუ ეს ფილმი მაინც შემორჩა კინოს ისტორიის ფურცლებს, ესეც მსახიობის წყალობით. მკვლევარები ხშირად იგონებენ ამ ფილმის ეპიზოდს, სადაც ჯანეტ მაკდონალდი მონტე-კარლოსაკენ მიმავალ მატარებელში მღერის. სიმღერის სითბო ორგანულად ერწყმის ორთქლმავლის საყვირისა და ბორბლების ხმაურს. მისამღერს იტაცებს მინდორში მომუშავე გლეხების გუნდი და მთლიანობაში — მატარებელი, სიმღერა, პეიზაჟი და ჯანეტ მაკდონალდის მომხიბვლელობა, მართლაც, რომ შთამბეჭდავ სურათს ქმნის.

ოცდაათიანი წლების ჰოლივუდი ძირითადად დაკავებული იყო ე. წ. მუსიკალური ფილმების სერიალებით. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმებში, უმეტესად, ჯანეტ მაკდონალდი მონაწილეობდა, როგორც ყველაზე „შემოსავლიანი" მსახიობი, იგი ხშირად გამოდიოდა ოპერის ცნობილ მომღერალ ნელსონ ედისთან ერთად.

ჯანეტ მაკდონალდს კარგი მუსიკალური მონაცემები და ეფექტური გარეგნობა ჰქონდა. ეს ყოველივე ერთგვარად ფარავდა მის სუსტ მსახიობურ ხელწერას. სწორედ ამიტომ იდგმებოდა სპეციალურად მისთვის განკუთვნილი კოსტიუმირებული, სათავგადასავლო და მკვეთრად მელოდრამატული ფილმები, რითაც ავტორები ცდილობდნენ ერთგვარად შეენიღბათ მსახიობის ეს სუსტი მხარე. მაგალითად, ფილმ „ჭირვეული მარიეტაში" (რეჟ. უ. ს. ვან-დაიკი), იგი ასახიერებდა ფრანგ პრინცესას, რომელსაც ამერიკელი უყვარდა და ლუიზიანაში გაიქცა. ფილმ „ციცინათელაში" (რეჟ. რ. ლეონარდი) ჯანეტი ასრულებდა სიმღერას სიყვარულზე, რომელიც „ციცინათელასავით ციმციმებდა". ფილმის გმირი იყო ესპანელი მოცეკვავე, რომელსაც მტერი (ნაპოლეონის ოფიცერი) უყვარდა. და ისევ ჯანეტ მაკდონალდისა და დენის კინგის შესანიშნავი მუსიკალური დუეტი შველოდა რეჟისორ ლ. ბერგერის სურათს „მაწანწალა მეფეს"...

მომღერალი ვარსკვლავის შემოქმედებაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მარიეტა („ჭირვეული მარიეტა"), რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიო მუსიკალური ფილმის ისტორიაში მის ლეგენდარულ პარტნიორობას ნელსონ ედისთან. ამ განუმეორებელ წყვილს არანაკლები წარმატება ხვდა წილად მომდევნო ფილმებში: „ქალიშვილი ოქროს დასავლეთიდან", „როზ-მარი", „მაისის წყვილი" (საბჭოთა ეკრანებზე — „გაზაფხულის დღეები") და სხვ.

ჯანეტ მაკდონალდის დიდი პოპულარობა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. იგი შეცვალა დინა დურბინმა და ჯუდი გარლანდმა. 1936 წელს ჯანეტი მაინც მოხვდა საუკეთესო ვარსკვლავების ათეულში. ერთი წლის შემდეგ კი... მაშინ, როცა შემდეგში ლეგენდარული გრეტა გარბო 69-ე, ხოლო მარლენ დიტრიხი 122-ე ადგილზე იყვნენ, ჯანეტ მაკდონალდი საერთოდ დაივიწყეს...

„მუსიკალური ჰოლივუდის პირველი ლედი" 1965 წელს გარდაიცვალა, მისი დიდებული პარტნიორი ნელსონ ედი კი — 1967 წელს.

გონდო გაგნიძე

„ერთი კაცი და ერთი დათვი დამეგობრდნენ. ერთხელ კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა, დათვი დაუძახა, გაუმასპინძლდა, მან კაცმან [illegible] და ცოლმაც [illegible] დათვისთვის. მან [illegible] რა დათვის სიმყრალე [illegible], გაიგონა და თქვა: — [illegible] სტუმარს ვერ ვენდობი!

წავიდა დათვი. და მერე ეს კაცი წავიდა და თან ცული წაიღო, შეშას დავჭრი და წამოვიღებო!

მოვიდა დათვი და, რაც მათ [illegible] და, [illegible], მერმე დათვმან დაუძახა: — თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მერმე [illegible] დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: — ძმაო, შენი ცულით დაკოდილი თავი გამრთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო".

# ენით დაკოდილი

[illegible]

* * *

[illegible]



[illegible]

* * *

[illegible]

თინა რეხვიაშვილი

# მოდა




1. ატლასის ქსოვილის გამოსასვლელი კაბა ზედა ნაწილი ანაოჭებულია. განიერი სახელოები ქვევით ვიწროვდება. ქვედა კაბა სწორია.

2. გამოსასვლელი კაბა ხავერდის ქსოვილისაგან. ზედა ნაწილი ანაოჭებულია, ასიმეტრიული შესაკრავით. მხრის ადგილი გამოკერილია ვიწრო ნაკეცებით. ქვედა კაბა სწორია და გადმოფენილი.

3. გამოსასვლელი კომპლექტი ხავერდის ქსოვილისაგან. ჟაკეტი ნახევრად გამოყვანილია რეგლანი სახელოებით და „შალევოი" საყელოთი. ქვედა კაბა სწორია და ანაოჭებული.

4. ატლასის ქსოვილის კომპლექტი. თავისუფალი ფორმის ბლუზას ამშვენებს გადმოფენილი მაქმანის საყელო და მანჟეტები. ქვედა კაბა სწორია, აქვს წინ შემხვედრი ნაკეცი.

5. გამოსასვლელი კაბა-კოსტუმი. ტრიკოტაჟის ქსოვილის. ჟაკეტი „ბასკით" თავისუფალი ფორმისაა, რეგლანი სახელოებით. ქვედა კაბა სწორია.

მოდელების ავტორი მხატვარ-მოდელიორი
ნანა ცქვიტაია




ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტკბილეული

## ტორტი დიპლომატი

5 კვერცხის გული გულდაგულ აზილეთ ერთ სუფრის კოვზ კარტოფილის ფქვილთან და სახეხზე დაფხეკილ ერთ ლიმონის ქერქთან ერთად. შემდეგ ერთ ლიტრ რძეს უყავით ერთნახევარი (1 1/2) ჭიქა შაქრის ფხვნილი, დაუმატეთ კვერცხის გულების, კარტოფილის ფქვილისა და ლიმონის ქერქის უკვე მომზადებული ნაზავი. ყოველივეს ერთმანეთში რომ აურევთ, შედგით ცეცხლზე, თან ურიეთ, როცა შესქელდება გადმოდგით, წინასწარ მომზადებული უნდა გქონდეთ ოთახის ტემპერატურის 1/4 ჭიქა წყალში დამბალი ერთი სუფრის კოვზი ჟელატინი. თუ კი იგი უკვე გაფუებულია, შეურიეთ შეგრილებული კვერცხის გულიან მასას, დაუმატეთ ლრუბელივით აქაფებული კვერცხის ცილა, რომელშიც დაფქვილი ნიგოზი იქნება არეული. მიღებული ნაზავი ჩაასხით წყალგამოვლებულ ჭურჭელში (ჭურჭელი სველი უნდა იყოს) და შედგით მაცივარში. სუფრაზე მიტანის წინ მოასხით კაკაოს კრემი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ერთ ჭიქა რძეს შეურიეთ თითო სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, და კაკაო და განუწყვეტელი მორევით ცეცხლზე შეასქელეთ.

## ნაყინის მსგავსი ჩაროზი („დესერტი“)

ნახევარი კგ. ნამცხვარი (პეჩენიე“) წვრილად დაფხვენით, დაუმატეთ 150 გრ წვრილად დაჭრილი ან დანაყილი ნიგოზი, წვრილ სახეხზე გახეხილი 200 გრამი (ერთი ჩაის ჭიქა) ვაშლი, 200 გრამი სხვა რამ ხილი, (სეზონის მიხედვით), ერთი ფორთოხლის ან ლიმონის წვენი და გულდაგულ ერთმანეთში აურიეთ. მერე ერთად ათქვიფეთ (უმჯობესია მიქსერით) 250 გრამი კარაქი, 5 კვერცხის გული და 5 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი. ეს ნაზავი აურიეთ უკვე მომზადებულ ხილის მასას, ჩაასხით შესაფერ შუშის ჭურჭელში ან ყალიბში და შედგით მაცივრის ყინულის კამერაში.

სუფრაზე მიტანისას დაჭერით და მიირთვით ალუბლის, ბლის, ჟოლოს ან სხვა კენკრის მარცვლებით. შეიძლება გამოიყენოთ კომპოტიდან და მურაბიდან ამოღებული მარცვლებიც.

## თაფლის ნამცხვარი

თითო ჩაის ჭიქა ზეთითა და შაქრის ფხვნილით, 1/2 ჩაის ჭიქა თაფლით, 3 კვერცხის გულით, 1 სუფრის კოვზი სოდით, 800 გრამი ფქვილით და გახეხილი ერთი ლიმონის ქერქით მოამზადეთ ცომი. დაამრგვალეთ ნიგოზის ხელა გუნდებად. დაალაგეთ ზეთიან ტაფაზე და ზომიერად გახურებულ ღუმელში გამოაცხვეთ. როცა გაცივდება ორ-ორი ცალი ერთმანეთთან თაფლით შეაწებეთ.

## ნამცხვარი „ნიგოზი“

125 გრ კარაქი აზილეთ ერთ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში, მორევა არ შეწყვიტოთ ისე დაუმატეთ 1 კვერცხი მთლიანად, 2 კვერცხის ცილა, ერთი სუფრის კოვზი კონიაკი, ვანილინი და 250 გრამი დანაყილი ნამცხვარი („პეჩენიე“). მიღებული ცომიდან გააკეთეთ პაწია გუნდები, ამოავლეთ დანაყილ ნიგოზში და შედგით მაცივარში.

## ნიგვზის ნამცხვარი

180 გრამი ნიგვზით, 140 გრამი შაქრის ფხვნილით („პუდრა“) 2 ჩაის კოვზი რომით, ერთი ლიმონის წვენითა და მისივე დაფხეკილი ქერქით მოზილეთ ცომი. დაამრგვალეთ პაწია ბურთებად და ჩაალაგეთ სხვადასხვა ფორმის გოფრირებული ქაღალდის კაფსულებში.



## პიტერ პაულ რუბენსი — „ელენ ფურმანი პირმშოთი“.

●

პიტერ პაულ რუბენსი (1577-1640) — ბაროკოს მთავარი წარმომადგენელი ფერწერაში, ის მზეა, რომლის გარშემოც ბრუნავს XVII საუკუნის ბელგიის ხელოვნება.

ფორმათა სისავსე, კომპოზიციის სიდიადე და მოძრაობის თავისუფლება ახასიათებს მის შემოქმედებას, რომელსაც ბოლო ათი წლის მანძილზე ასხივოსნებდა ელენ ფურმანის, მხატვრის მეორე მეუღლის სიყვარული. ფურმანი იყო რუბენსის უცვლელი ნატურა რელიგიურსა და მითოლოგიურ სიუჟეტებზე მუშაობისას.

რუბენსის ფუნჯით შესრულებული ფურმანის პორტრეტები ითვლება ქალთა პორტრეტების უმშვენიერეს ნიმუშებად მსოფლიო ხელოვნებაში.

გთავაზობთ ფერწერულ ტილოს — „ელენ ფურმანი პირმშოთი“.

გარეკანის პირველ გვერდზე — თ. ქართველიშვილის პლაკატი — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“; გარეკანის მეოთხე გვერდზე — პიტერ პაულ რუბენსი — „ელენ ფურმანი პირმშოთი“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/II-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III-81 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 134.100. შეკვ. 413. უე 00643.

ეროვნული
ბიბლიოთეკა







# ⴓⴚⴞⴍⴓⴐⴈ ⴈⴓⴋⴍⴐⴈ









6.83/87
ეროვნული ბიბლიოთეკა